თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 1 მარტი
მორიგი სხდომის
ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 1 მარტი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ომარი ჯიხვაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. მერაბი ბასილაძე, 25. ტარიელ ფანჩულიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე, 28. კობა კირკიტაძე, 29. რუსუდან კოვზირიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 29 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁵ სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2823058104 წერილი, 27.02.2023 წ);

   მომხს. გ.ბარათაშვილი
   თანამომხს.: ავ. ურიდამყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-28230377 წერილი, 06.02.2023 წ);

   მომხს. გ.ბარათაშვილი
   თანამომხს.: ავ. ურიდამყოფელი

3. ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი № 01/348, 20.02.2023 წ);

   /მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ;

   /მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305884, 27.02.2023 წ.);

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305887, 27.02.2023 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 350.0 ათასი ლარით და შეადგენს 27557.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 350.0 ათასი ლარით. (სხვა შემოსავლები (რენტა)).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 350.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება გაიზარდა 230.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 50.0 ათასი ლარით და თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 11

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №7, 01.03.2023 წ.).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 11

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230605, 01.03.2023 წ.).

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ განაკრგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230604, 14.02.2023 წ.).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230603, 01.03.2023 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2923060001, 01.03.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №g-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № g-29.29230602, 01.03.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი